01/10/2024

შპს „აგრო ბესთ“ (ს/ნ 417876025)

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

**ზოგადი ინფორმაცია**

შპს „აგრო ბესთ“ (ს/ნ 417876025) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 30 აგვისტოს, იურიდიული მისამართი: საქართველო, გორის რაიონი სოფელი ხელთუბანი. დირექტორი: მიხეილ ქოქიაშვილი პ/ნ 01028005316.
კომპანიის ერთდაერთი პარტნიორი 100%-იანი წილის მფლობელია მიხეილ ქოქიაშვილი პ/ნ 01028005316. კომპანიას ჰყავს მეკავშირე საწარმო , რომელშიც ფლობს 70% წილს.
შპს შპს „აგრო ბესთ“-ის (ს/ნ 417876025) ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა, ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით

**ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი:**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

**მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტებს საფუძველზე:
-საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
-საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;

დირექტორი!

1

-ფინანსური ანგარიშგების სართაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

**შემოსავლების და ხარჯების აღიარება**

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად,
შემოსავლების აღიარება:
-შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით,დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.
საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
-შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
-მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
-შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.
ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება,თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

**ფული და ფულის ექვივალენტები**

საწარმოს სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის კურსის შესაბამისად.ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.
უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.
კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების და ზარალის შემოსავლების/ხარჯების ანგარიშში.

**ბანკის სესხები**

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

დირექტორი:

GEORGIA AGRO BEST LTD

**სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაცემილ იქნა.

**სასაქონლო მატერიალური ფასეულობები**

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყისი აღიარება ხდება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით,რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან,შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ ხარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა). ხოლო შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდია საშუალო შეწონილი.

**სავაჭრო მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის/მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად,ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.
თავდაპირველი აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით. ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ღირებულებით, რომელსაც საწარმოს ხელმძღვანელობა რეგულარულად აღრიცხავს.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

**შემოსავალი რეალიზაციიდან**

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:

- საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

გარიგების ფასი ნაწილდება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

**დამატებითი ღირებულების გადასახადი**

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღიარდება ბასს 16-და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილებების შესაბამისად. მათი ღირებულებების აღიარება ხდება თვითღირებულებით,რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს,არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების,მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. საკანცელარიო,ერთჯერადი გამოყენების და სხვა დამხმარე მასალები აღირიცხება სხვა მიმდინარე აქტივებში ან შესყიდვისთანავე ჩამოიწერება ხარჯებში.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით,რასაც აკლდება წრფივი მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები,ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანგარიშგება დამტკიცებულია წარსადგენად 01/10/2024-ში

**ხარჯები**

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავის ხარჯები და უიმედო მოთხოვნები რომელიც ჩამოიწერა მიმდიანრე წელს.

მიწოდების ხარჯები მოიცავს ტრანსპორტირების და დისტრიბუციის, თანამშრომლების ხელფასის ხარჯებს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

**პერსონალის შენახვა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები**

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

დირექტორი: მ.ქოქიაშვილი

| შპს აგრო ბესტ ბს/ნ 417876025 | | | |
|---|---|---|---|
| კონსოლიდირებული | | | |
| **ფინანსური მდგომარეობა** | | | |
| | | | |
| ფინანსური მდგომარეობა | 31/12/2023 | 31/12/2022 | 31/12/2021 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 426058 | 537614 | 834882 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 580552 | 293941 | 356400 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 608542 | 0 | 459 |
| მარაგები | 1314196 | 1184388 | 1412844 |
| მზა პროდუქცია | 0 | 0 | 0 |
| სხვა | 1314196 | 1184388 | 1412844 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 | 0 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 158993 | 542460 | 272377 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| თვითღირებულების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გადაფასების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 5591 | 4972 | 6327 |
| ძირითადი საშუალებები | 910611 | 517125 | 521509 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 56290 | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| სულ აქტივები | 4060833 | 3080500 | 3404798 |
| **ვალდებულებები** | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 284850 | 0 | 0 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 0 | 1011800 | 883984 |
| ანარიცხები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0 | 16356 | 1960 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 0 | 64355 | 0 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 9853 | 9853 | 0 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 3660913 | 964087 | 1225439 |
| მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 0 | 635832 | 673770 |
| სულ ვალდებულებები | 3955616 | 2702283 | 2785153 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 12307 | 12307 | 43730 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | 92910 | 365910 | 575915 |
| გადაფასების რეზერვი | 0 | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | 0 | 0 | 0 |
| სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი | 105217 | 378217 | 619645 |
| არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი) | 0 | 0 | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 105217 | 378217 | 619645 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 4060833 | 3080500 | 3404798 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 3142889 | 2461846 | 2845202 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 294703 | 1738196 | 1527136 |

დირექტორი:

შპს აგრო ბესთ ს/ნ 417876025
კონსოლიდირებული

## საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | | |
| საქონლის გაყიდვიდან | 4588221 | 6148268 |
| მომსახურების გაწევიდან | 4588221 | 6148268 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| გაყიდვების თვითღირებულება | 0 | 0 |
| საწყისი მარაგები | -3613457 | -5172549 |
| მარაგების შესყიდვა | 0 | 0 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 0 | 0 |
| საერთო მოგება | 0 | 0 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 974764 | 975719 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | 0 | 0 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -416237 | -456563 |
| საპროცენტო შემოსავალი | -58712 | -45663 |
| საპროცენტო ხარჯი | 0 | 0 |
| იჯარის ხარჯი | -230832 | -132082 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -277981 | -290716 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -264002 | -292123 |
| საოპერაციო მოგება | -1247764 | -1217147 |
| | -273000 | -241428 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 0 | 0 |
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | 0 | 0 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | -273000 | -241428 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 0 | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | -273000 | -241428 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | 0 | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახ | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | -273000 | -241428 |
| **მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:** | | |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი) | -244159 | -235329 |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი) | -28841 | -6099 |
| მოგება / (ზარალი) | -273000 | -241428 |
| **მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:** | | |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი | -244159 | -235329 |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი | -28841 | -6099 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | -273000 | -241428 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 378217 | 619645 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 0 | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 0 | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 105217 | 378217 |

დირექტორი: